



„ღმერთი დეტალებშია“

მის ვან დერ როე

დეტალები არქიტექტურაში

ხელმძღვანელი: ნინო იმნაძე

პრიამბულა

არქიტექტურა უზრუნველყოფს ადგილის განცდას და ყველანაირი ტიპის ადამიანის საქმიანობის ხელშეწყობას. არქიტექტურა ეხმარება ადამიანს შექმნას ჰარმონიული გარემო, რომელიც ცხოვრებას გაამდიდრებს როგორც ესთეტიურად ისე სულიერად. არქიტექტურა ქმნის მემკვიდრეობას, რომელიც ასახავს და სიმბოლოა კულტურისა და ტრადიციების. იგი ითვალისწინებს როგორც კონსტრუქციულ და სამშენებლო მართებულობას, ასევე მომხმარებლისთვის უნდა წარმოადგენდეს ფუნქციურად გამართულ სივრცეს და ესთეტიურ მნიშვნელობას იძენდეს.

ადამინები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ არქიტექტურას, იმის გათვალისწინებით თუ რისი დანახვა შეუძლიათ მათ ან უნდათ.

წინამდებარე მოხსენებაში კი გაანალიზებულია დეტალი არქიტექტურაში, რომელიც წარმოაგენს არქიტექტურული ობიექტის არსებით და მნიშვნელოვან ნაწილს. დეტალი შეიძლება იყოს აბსტრაქტული და ტექტონიკური. ტექტონიკური მიდგომა შენობის სამშენებლო ლოგიკას გამოხატავს, ხოლო აბსტრაქცია მოითხოვს შენობის კონცეფციის გამოსახვას. დეტალი არქიტექტურაში ავლენს ნაგებობის საერთო ჩანაფიქრს, იდეას, ხაზს უსვავს მის მასშტაბს და ამდიდრებს არქიტექტურულ ფორმას. თავის მხვრივ დეტალს გააჩნია ფუნქციური დატვირთვაც და მთლიანობაში აერთიანებს უბრალოებას, ჰარმონიას, სიმეტრიას, სიმკაცრეს, თუმცა იმავდროულად ქმნის არქიტექტურულ თეატრს. დეტალი ის ელემენტია, რომელიც ვიზუალურ კომუნიკაციას ამყარებს მაყურებელთან. „ღმერთი დეტალებშია“ - ამბობს მის ვან დერ როე, რომელიც გულისხმობს, რომ დიზაინის იდეა უნდა იყოს საფუძვლიანად და თანმიმდევრულად წარმოდგენილი და სრულყოფილი. თანამედროვე არქიტექტურაში დეტალის არსის გაგება ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა და ჩვენ მას განვიხილავთ კონკრეტული ობიექტების მაგალითზე: ქ.თბილისში ტექნიკური ბიბლიოთეკა, არქივის შენობა, ნუცუბიძის პლატოზე, ფალიაშვილისა და აბულაძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლები და ა.შ. ძირითადად ისეთ ობიექტებს, რომელთა არქიტექტურა შეიძლება არ გამოირჩევა რაიმე კონკრეტული სტილით, თუმცა სწორედ დეტალი ხდის მათ განსაკუთრებულს და დასამახსოვრებლს. ხშირ შემთხვევაში დეტალი მათში ვლინდება ფარულად და ინტუიციურად მოგვმართავს მნიშვნელოვანისკენ. ჩვენ არ ვსუბრობთ ორნამენტზე, როგორც მორთულობაზე, არქიტექტურულ წარმოდგენაზე, არამედ დეტალზე, რომელიც გადმოგვცემს ავტორის განცდას, ემოციას და არ აზიანებს არქიტექტურული ობიექტის საწყის იდეას.

ისტორიული კონტექსტი

დეტალი რომ ისტორიულ ჭრილში გავიხსენოთ, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი იჩენს თავს, ეს არის Abu Simble-ს ტაძარი, რომელიც მდებარეობს ისტორიული ნუბიის ეგვიპტურ ნაწილში. ტაძარი აგებულია ძვ.წ. XIII საუკუნეში, ძველი ეგვიპტის ახალი სამეფოს ფარაონის, რამზეს II-ის მიერ. ტაძარი ორი ნაწილისგან შედგება, პატარა და დიდი ტაძარი. დიდ ტაძარში რამზეს II-ის ქანდაკებას ვხდებით კიდევ სამ სხვა ქანდაკებასთან ერთად, ეს ქანდაკებები ტაძარში შესასვლელიდან საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული, თუმცა დეტალს, რომელმაც ეს მოვლენა განსაკუთრებული გახადა, ამ მონაკვეთმა ხელი ვერ შეუშალა. მოვლენას კი „მზის სასწაულს“

უწოდებენ, რაც გულისხმობს, რომ წელიწადში ორჯერ მზის სხივები ღრმად იჭრებიან ტაძრის შიდა სვრცეში და ანათებენ რამხეს II-ის ქანდაკებას, რაც საყურადღებო და ამოუცნობი ფაქტია, თუმცა არსებული და ხილულია. შესაბამისად ამისა შეგვიძლია ვიგულისხმოთ რომ დეტალს, როგორც ყურადღების გასამახვილებელ ობიექტს იმ დროიდანვე აქცევდნენ დაკვირვების ობიექტად.

უცხოური მაგალითები

როდესაც ვსაუბრობთ დეტალებზე არქიტექტურაში, ჩვენ გვახსენდება არქიტექტორები : მის ვან დერ როე (1886-1969), ლუის კანი (1901-1974), ტადაო ანდო (1941). მათი ნამუშევრებიც სწორედ რომ დეტალებით გამოირჩევიან;

მის ვან დე როეს სიტყვებიც პირდაპირ მიგვანიშნებს მისი შემოქმედების დეტალებთან : „ღმერთი დეტალებშია“, რა ზემო აღნიშნულიდანაც გასაგება, რომ არქიტექტურის იდეა არ უნდა იყოს უსაფუძვლო, რომ ყველაფერს თავისი კოდი, თავისი დეტალი უნდა ჰქონდეს და ამ ყველაფრის ერთიანობაში მოყვანა და სრულყოფილებისკენ სწრაფვაა საჭირო. ვან დერ როეს ნამუშევრებიდან გამოვარჩევდით ბარსელონას პავილიონს (1928-29), რომელშიც ქანდაკების ანარეკლი სიმეტრიულად აისახება წყალსა თუ კედელზე, რაც ძალიან დასამახსოვრებელია პროექტიდან. შემდეგი პროექტი ეს არის ილინოისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (1946-47). რომელიც გაზაფხულისას იცვლის ფაქტობრივ ფორმას და იმოსება მცოცავი მცენარეებით, რაც კიდევ ერთი დეტალია, ვინაიდან იერსახე არქიტექტურას სრულიად ეცვლება.

ლუის კანი : „ვოცნებობ სასწაულმოქმედი ენერჯით სავსე სივრცეზე, სივრცეებზე, რომლებიც აღმოცენდება და ვითარდება ბუნებრივად - დასაწყისის და დასასრულის გარეშე... დიადი შენობა უნდა დაიწყოს განუზომლიდან, გეგმარების პროცესში განუზომილებადი უნდა გახდეს და ბოლოს ისევ განუზომელს დაუბრუნდეს“

კანის არქიტექტურა ჩრდილოვანია, დეტალების, სიმეტრიულობის, რითმულობის და გეომეტრიული ფიგურების ერთობლიობაა. კანი ცნობილია როგორც „სინათლის ოსტატი“, მისთვის სინათლის შეგრძნება სიბნელის დონის განსაზღვრაა, “შენობის გეგმა უნდა იკითხებოდეს, როგორც სივრცის ჰარმონია სინათლეში. მაშინაც კი, სივრცე რომელიც მუდმივად მუქია, უნდა ჰქონდეს რაღაც იდუმალი სინათლე“. მისი ნამუშევრებიდან უპირველესად გვახსენდება სალკის ინსტიტუტი (1962), კანმა კომპლექსი ისე დააპროექტა, რომ ხაზს უსვამს სულიერების განცდას, რომელიც გამოხატულია ნაციონალური და ბრუტალური სტილის შერწყმით, თეთრი ქვა და ნაცრისფერი ბეტონის კედლები წარმოდგენილია სწორედ ჩრდილების პიესისთვის სამგანუზომილებიან ტილოზე, რაც წარმოდგენას უწყობს ხელს, რომ კომპლექსის ცენტრი და მზის ამოსვლა ერთ ხაზზე მოექცეს. კომპლექსი კი ამ დეტალის წყალობით სიმბოლო გახდა მშვიდი და გაწონასწორებული არქიტექტურისა.

გარდა სალკისა მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნია, როგორც დეტალებთან ურთიერთობის კარგი მაგალითი, მენეჯმენტის ინსტიტუტი ინდოეთში (1974). მისი გეომეტრიული ფიგურები ნამდვილად დასამახსოვრებელი დეტალებია ამ პროექტში.

ტადაო ანდოს სინათლის, ბუნებისა და სივრცის ოსტატობა 1980-იან წლებში გლობალურ ეტაპზე გადავიდა. შემოქმედების ამ პერიოდში დაასრულა მან ორი ყველაზე ცნობილი ნამუშევარი, ეკლესია

წყალზე (1988) და სინათლის ეკლესია (1989). ეს ორივე შენობა ცდილობს უზრუნველყოს სულიერი სივრცეების ორგანიზება, ერთი ბუნებრივი ელემენტით, და ეს ელემენტი სინათლის წყაროა, რომელიც ამ სივრცეებს ძალიან ერთგვაროვნად მიეწოდება. ეს ნამუშევრები ანდოს არქიტექტურული პრინციპების სრულყოფილი მაგალითია.

ამასთან მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნია სინათლის ეკლესია (1989), სინათლის ეკლესია მოიცავს ანდოს ფილოსოფიურ ჩარჩოსა და ბუნებას შორის არქიტექტურას, რომლის მეშვეობითაც სინათლეს შეუძლია განსაზღვროს და შექმნას ახალი სივრცითი აღქმა.

მედიტაციის სივრცე (პარიზი, საფრანგეთი 1994-1995)

ძალიან მინიმალისტურად შექმნილი სივრცე, რომელშიც წრიული ფორმის დეტალი ჭერზე არა მხოლოდ დასამახსოვრებელი არამედ ემოციური ფონისთვის და სივრცის ფუნქციონალურობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

სინათლის სტუდიო (იაპონია 2012)

ბუნებრივი სინათლე შენობაში გაჭრილი სამკუთხედიდან ხვდება, რომელიც მთელი დღის მანძილზე სხვადასხვა წარმოდგენებს აჩვენებს.

“Tbilisi’s skybridge” - ასე მოიხსენიებენ ნუცუბიძის ქუჩაზე არსებულ საცხოვრებელ შენობებს, რომელთაც ერთი განსაკუთრებული დეტალით იცნობს ინტერნეტ სივრცის მომხმარებელთა დიდი რაოდენობა, ეს გახლავთ ხიდი, რომელიც ნუცუბიძის ქუჩაზე არსებული საცხოვრებელი შენობიდან უკავშირდება ნუცუბიძის I კლასტოზე არსებულ 2 საცხოვრებელ შენობას. არქიტექტორები გახლავთ ო. კალანდარიშვილი და გ. ფოცხიშვილი, დააპროექტეს 1976 წელს. მიუხედავად საცხოვრებელი კორპუსის იერსახის ცუდი გადმონაშთიდან, რომელიც საბჭოთა კავშირის დროინდელ არქიტექტურას გვახსენებს, მაინც ინარჩუნებს აქტუალობას, მასზე სტატიაც არის მიძღვნილი ინტერნეტ სივრცეში და მას მოიხსენიებენ ნუცუბიძის პლატოს „სავიზიტო ბარათს“.

თბილისური არქიტექტურის კიდევ ერთი მაგალითია **„თბილისის სტოუნჰენჯად“** წოდებული მონუმენტი, რომელიც გახლავთ ზურაბ წერეთლის ნამუშევარი და მიუხედავად იმისა, რომ იგი ცალსახად გახლავთ ხელოვნების წარმომადგენელი და არა არქიტექტურის, ის მაინც არაჩვეულებრივად გადმოგვცემს საზოგადოებას ჩანაფიქრს (სვეტები რომლებზეც ასახულია თბილისის ქრონიკა) ლანდშაფტური თვალსაზრისით, ქალაქგეგმარების კონტექსტში ჯდება არაჩვეულებრივად, ნამუშევრის სიდიადე და მონუმენტურობა აღიქმება თბილისი თითქმის ყველა ლოკაციიდან, რაც არსებითად ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს და დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე.

არქეოლოგიის მუზეუმი (1988)- თრელის გორა

არქეოლოგიის მუზეუმი დაპროექტებულია ს. კავლაშვილისა და შ. ბოსტანაშვილის მიერ, რომელიც მიუხედავად შეწყვეტილი ფუნქციონირებისა, აქტიურად იზიდავს მნახველებს, მუზეუმი

ქალაქგეგმარებით კონტექსტთან შესაბამისობაშია, რელიეფთან კავშირი ჰარმონიულია, რაც მუზეუმთან მისასვლელი კიბით გამოიხატება.

კიდევ ერთი ბრუტალური შენობა, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია, გახლავთ საცხოვრებელი ბლოკი დ. აღმაშენებლის გამზირზე. მის ფასადზე გამოკვეთილია რითმულად ჩამწკრივებული ნახევარ-წრეები, რომლებიც თითქოს და ღიობის აკვრია რომ მზის სხივებისგან დაიცვას. ამ შენობაშიც დასამახსოვრებელი სწორედ ეს რითმულობაა, რომელიც უცვლელია თუმცა ცვალებადია მისი ჩრდილები ღიობებზე, რომლებიც მზის ტრექტორიის მიხედვით იცვლება.

ინსპირაციის წყარო

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა (1970)

მდებარეობს მ.ალექსიძის ქუჩაზე (კოსტავაზე), ავტორები გახლავთ გ.ლეჟავა და ი.ლეხერმანი. შენობამ ყურადღება თავისი ბრუტალიზმით,მედიდურობით და არაორდინალურობით მიიპყრო.

თანამედროვე არქიტექტურის მაგალითები:

დეტალები, არქიტექტურის ანსპექტით განვიხილავთ თანამედროვე ორი ტიპის საცხოვრებელ სახლს, რომელთაც აქვთ თავისი, განსხვავებული კოდი და დეტალები იმისთვის, რომ დასამახსოვრებელი ყოფილიყო საზოგადოებისთვის. ესენია : ფალიაშვილის ქუჩაზე N23-ში მდებარე საცხოვრებელი ბლოკი, არქიტექტორი გ. ასტახიშვილი, რომელმაც ვფიქრობთ რომ არაჩვეულებრივად გადმოსცა ფასადი, რომელის ღიობებზე დამონტაჟებულია მოძრავი ჟალუზები, რომლებიც დღის მანძილზე აბსოლიტურად სხვა და სხვა ფორმას გვთავაზობენ.

მეორე საცხოვრებელი სახლი გახლავთ აბულაძის ქუჩაზე (ავტორი უცნობია), რომელიც სტილისტურად თითქოს არაფრით გამოირჩევა, თუმცა მისი ერთ-ერთი ფასადი ნამდვილად შთამბეჭდავია, რომელიც წლის სხვა და სხვა პერიოდში განსხვავებულად გამოიყურება, ამ შენობამ დააკმაყოფილა იდეა რომ არქიტექტურა მხოლოდ ხელოვნებად გამოხატული კი არა, არამედ ფუნქციურად გამართულიც უნდა იყოს.

რკინის თეატრი

ბუდაპეშტის(ფანჯიკიძის) ქუჩის პირველ ნომერში არსებობა დაიწყო (უკვე ერთი წელია) უნივერსალური შესამღებლობების მქონე ახალმა თეატრალურმა სივრცემ, გამორჩეული ექსტერიერით.

„რკინის თეატრი“ არის ახალი კულტურული კერა ძალიან საინტერესო არქიტექტურული ნაგებობით, რომლის ანალოგიც თბილისში(და არამარტო) არ არის. თეატრის

კონსტრუქციულ ნაწილში გამოყენებულია 100 ტონამდე რკინა, რაც ერთობ არაორდინარულს და მიმზიდველს ხდის მას.

არქიტექტურული დეტალებიდან შეგვიძლია გამოვყოთ კიდევ დროებითი ფრაგმენტები არქიტექტურაში, რომლებიც უეცრად და გაუაზრებლად გვხვდებიან არქიტექტურულ სივრცეებზე.

დასკვნა:

დეტალებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არქიტექტურაში საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, არქიტექტურასთან ურთიერთობა კი ძალიან ჰგავს ადამიანთან კომუნიკაციას, თავდაპირველ შეხედულებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ხოლმე და როგორც წესი ვაკვირდებით დეტალებს, მიმიკებს, ჟესტებს, მანერებს, საუბრის ტემბრს, ასევე არქიტექტურასთან, როდესაც პირველად ვხვდებით არქიტექტურულ ნამუშევრებს, ისინი თავისი ჟესტებით და მანერებით ამყარებენ კომუნიკაციას ჩვენთან, გადმოგვცემენ ავტორის იმ აზრს და კოდებს, რომელიც არქიტექტორმა პროექტირებისას მიანიჭა. მაგრამ, ვინაიდან ადამიანები ინდივიდუალურად აღიქვამენ ყველაფერს, არქიტექტურის ავტორის აზრის გაგებაც არც ისე მარტივი იქნება, თუმცა მას ჩვენებურად აღვიქვამთ, ეს აღქმული და ჩვენთვის საინტერესო დეტალები კი გვაიძულებენ უფრო ახლოს გავიგნოთ შენობები და მეტად დავაკვირდეთ მათ.

რეკომენდაცია:

რეკომენდაციის სახით ვიტყვით, რომ თუ გვინდა ჩვენი არქიტექტურა და შემოქმედება მნახველებისთვის დასამახსოვრებელი იყოს, აუცილებლად უნდა ჩავდოთ მასში აზრი, იქნება ეს ტექნიკური დეტალებით თუ აბსტრაქტულით. მთავარია ადამიანებმა მასში ამოიცნონთ თავისებური ახსნა დეტალის.

გამოყენებული მასალა: <https://www.archdaily.com/>
<http://www.beautyofplanet.com>
<https://architectureau.com/>
<https://www.houzz.com/>
<http://www.slcdocs.com/>
<https://architectureau.com/>

სტუდენტი: შტააძე ანი

მაგისტრატურა- კურსი I